



სააქციო საზოგადოება „ზირაათ ბანკი საქართველო“ / Ziraat Bankası Gürcistan A.Ş.

გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი ს ა კ რ ე დ ი ტ ო
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

GENEL KREDİ SÖZLEŞMESİ

0
00-01-00
0

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები/Sözleşmeye katılan tarafları:

ერთის მხრივ - ბანკი / Bir taraftan - Banka	სააქციო საზოგადოება „ზირაათ ბანკი საქართველო“ / ZİRAAT BANKASI GÜRCİSTAN A.Ş.
წარმომადგენელი / Temsilcisi პ.ნ. / ID.N	#N/A
მისამართი / Adres:	ქ.თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #100 / Tiflis, Zviad Gamsakurdia Sanapiro #100, Tiflis
ს/ნ V/K	404534170
ტელეფონი / ფაქსი Tel/ Fax	+995 32 2943704

მეორეს მხრივ - მსესხებელი / Diğer Taraftan – Kredi Müşterisi	()
წარმომადგენელი / Temsilcisi	
ს.ნ/ პირადი / ID ve/veya V/K No	0
მისამართი / Adres	0
ტელ: / Telefon	0
ელ. ფოსტა / E-mail:	0
ინფორმირების წესი / Bilgilendirme kuralı	ბანკი მომხმარებლის ინფორმირებას ახდენს მომხმარებლის მიერ წარდგენილი საკონტაქტო მონაცემების საშუალებით. / Banka, kredi müşterisine bilgileri kredi müşterisi tarafından verilen iletişim bilgileri vasıtasıyla verir

თანამსესხებელი / Kredi ortağı	-
წარმომადგენელი / Temsilcisi	-
ს.ნ/ პირადი / ID ve/veya V/K No	-
წარმომადგენელის შესახებ დამატებითი ინფორმაცია / Temsilci Hakkında Ek Bilgiler	-
მისამართი / Adres	-
ტელ: / Telefon	-
ელ. ფოსტა / E-mail:	-
ინფორმირების წესი / Bilgilendirme kuralı	ბანკი მომხმარებლის ინფორმირებას ახდენს მომხმარებლის მიერ წარდგენილი საკონტაქტო მონაცემების საშუალებით. / Banka, kredi müşterisine bilgileri kredi müşterisi tarafından verilen iletişim bilgileri vasıtasıyla verir
თანამსესხებელი / Kredi ortağı	-
წარმომადგენელი / Temsilcisi	-
ს.ნ/ პირადი / ID ve/veya V/K No	-
წარმომადგენელის შესახებ დამატებითი ინფორმაცია / Temsilci Hakkında Ek Bilgiler	-
მისამართი / Adres	-
ტელ: / Telefon	-
ელ. ფოსტა / E-mail:	-
ინფორმირების წესი / Bilgilendirme kuralı	ბანკი მომხმარებლის ინფორმირებას ახდენს მომხმარებლის მიერ წარდგენილი საკონტაქტო მონაცემების საშუალებით. / Banka, kredi müşterisine bilgileri kredi müşterisi tarafından verilen iletişim bilgileri vasıtasıyla verir
თანამსესხებელი / Kredi ortağı	-
წარმომადგენელი / Temsilcisi	-
ს.ნ/ პირადი / ID ve/veya V/K No	-
წარმომადგენელის შესახებ დამატებითი ინფორმაცია / Temsilci Hakkında Ek Bilgiler	-
მისამართი / Adres	-
ტელ: / Telefon	-
ელ. ფოსტა / E-mail:	-
ინფორმირების წესი / Bilgilendirme kuralı	ბანკი მომხმარებლის ინფორმირებას ახდენს მომხმარებლის მიერ წარდგენილი საკონტაქტო მონაცემების საშუალებით. / Banka, kredi müşterisine bilgileri kredi müşterisi tarafından verilen iletişim bilgileri vasıtasıyla verir

ერთობლივი სურვილის შესაბამისად, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:	Tarafların rızası istinaden Gürcistan Yasaları gereğince, iki taraf arasında yapılan Genel Kredi Sözleşmesi konusu aşağıdaki gibidir:
1 ტერმინთა განმარტება	1. Tanımlar
1.1. ბანკი - სააქციო საზოგადოება „ზირაათ ბანკი საქართველო“	1.1. Banka - ZİRAAT BANKASI GÜRCİSTAN A.Ş
1.2. მსესხებელი - რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი (კლიენტი), რომელიც სარგებლობს ბანკის საკრედიტო მომსახურებით.	1.2. Müşteri – Banka tarafından verilen krediyi kullanan yerleşik veya yerleşik olmayan tüzel ve/veya gerçek şahıs,
1.3. ძირითადი ხელშეკრულება - ბანკთან გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს ბანკსა და მსესხებელს შორის საკრედიტო მომსახურების ძირითად პირობებსა და პარამეტრებს.	1.3. Genel Kredi Sözleşmesi – Banka ile kredi Müşterisi arasında kredi hizmet şartlarını ayarlayan genel sözleşme,
1.4. დაკავშირებული ხელშეკრულება - ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე და ფარგლებში, ბანკთან და მსესხებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება/ხელშეკრულებები.	1.4. İlgili Sözleşmeler – Banka ile müşteri arasında Genel Kredi Sözleşmesi çerçevesinde imzalanan ilgili sözleşme/sözleşmeler;
1.5. მაქსიმალური ზღვრული ოდენობა - მაქსიმალურ ზღვრულ ოდენობაში იგულისხმება, წინამდებარე ხელშეკრულების „3.3.“ პუნქტში მითითებულ ვადაში მსესხებლის მიერ მიღებული „3.1.“ პუნქტში მითითებული თანხა (ძირითად ვალდებულებათა ერთობლიობა, დასარიცხი პროცენტის, საკომისიოს, საურავის, პირგასამტეხლოს გაუთვალისწინებლად).	1.5. Azami Kredi Limiti – Azami kısıtlı miktar adı altında, Genel Kredi Sözleşmesinin 3.3. maddesinde belirtilen vade içerisinde, Müşteri tarafından alınacak olan ve 3.1. maddede belirtilen tutar öngörülmektedir (Genel yükümlülüklerin toplamı, tahakkuk ettirilecek miktar, komisyon bedeli, ceza miktarı hariç).
1.6. მხარეები - ბანკი და მსესხებელი ერთად	1.6. Taraflar – Banka ve Kredi Müşterisi beraber
2. ხელშეკრულების საგანი	2. Genel Kredi Sözleşmesinin Konusu
2.1. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულება (შემდგომში “ძირითადი ხელშეკრულება”) წარმოადგენს გენერალურ ანუ მთავარ ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც და რომლის ფარგლებშიც ბანკი განიხილავს მსესხებლის საკრედიტო განაცხადს საკრედიტო პროდუქტების გამოყოფაზე, ამტკიცებს ან უარს ამბობს განაცხადის დაკმაყოფილებაზე.	2.1. Banka tarafından kredi müşterisinin kredi ürünlerinin tahsis edilmesine yönelik kredi başvuruları işbu Genel Kredi Sözleşmesi (Bundan sonra GKS olarak anılacaktır.) istinaden incelenmektedir. Banka kredi başvurusu değerlendirir, onaylanır yada reddedilebilir.
2.2. საკრედიტო განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში მსესხებელთან ფორმდება შესაბამისი საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებები და მათზე სრულად ვრცელდება ძირითადი ხელშეკრულების და მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების დებულებები.	2.2. Müşterinin kredi başvurusu hakkında olumlu kararın alınması durumunda, ilgili kredi ürünü hizmet sözleşmesi yapılır ve GKS sözleşmesinin çerçevesinde yapılan diğer hükümler geçerli sayılır.
2.3. მხარეებისათვის ცნობილია, რომ წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულება არ წარმოადგენს სესხის/კრედიტის ან სხვა საკრედიტო პროდუქტის შეპირების ხელშეკრულებას.	2.3. Taraflar, işbu GKS'nin, kredi kullanılması şartının olmadığını kabul ederler.
2.4. მხარეები ვთანხმდებიან, როგორც ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ასევე მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით გადაეცეს არბიტრაჟს. საარბიტრაჟო შეთანხმება მოცემულია ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლში.	2.4. Taraflar, işbu sözleşmeye istinaden meydana gelen davalar son karara bağlanması maksadıyla Arbitraja teslim edileceği hakkında mutabakata varmışlardır. Arbitraj anlaşması işbu sözleşmenin 9'ncü maddesinde yer almaktadır.
3. გენერალური ხელშეკრულების ძირითადი პირობები	3. Genel Kredi Sözleşmesinin Ana Unsurları

<p>3.1. წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულების და მის ფარგლებში გაფორმებული დაკავშირებული ხელშეკრულებების საფუძველზე, მსესხებლის მიერ ბანკიდან მისაღები საკრედიტო პროდუქტების (თანხის) მაქსიმალური ზღვრული ოდენობა: İşbu GKS ve çerçevesinde yapılan ilgili kredi sözleşmesi nezdinde, Müşteri tarafından Bankadan kullanılacağı maksimum kredi miktarı,</p>	<p>(ი) ლარი / () GEL</p>
<p>3.2. წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე მსესხებელზე გაცემული საკრედიტო პროდუქტების (თანხის) სარგებლობისათვის ბანკის სასარგებლოდ დასარიცხი (გადასახდელი) წლიური საპროცენტო სარგებლის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა: İşbu GKS nezdinde, Müşterinin kullanılacağı kredi üzerinde, Bankanın lehine tahakkuk ettirilecek (ödeneyeği) yıllık maksimum faiz oranı,</p>	<p>23%</p>
<p>3.3. წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე საკრედიტო პროდუქტების (თანხის) ბანკიდან მიღების ვადა: GKS nezdinde, Müşterinin kredi ürününün Bankadan alabileceği süre,</p>	<p>120 თვე / ay</p>
<p>3.4. მსესხებლის მიერ წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე ბანკთან გაფორმებული დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული პირობ(ებ)ის, გადახდის გრაფიკ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია დაარიცხოს, ხოლო მსესხებელი თანახმაა გადაიხადოს მაქსიმალური ყოველდღიური პირგასამტეხლო, თუ პირგასამტეხლოს სხვა ოდენობა არ იქნება შეთანხმებული კონკრეტული საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებით: Müşteri tarafından, GKS çerçevesinde Banka ile yapılan ilgili sözleşme/sözleşmelerle göze alınmış şartların, ödeme grafiğinin ihlal edilmesi durumunda, banka maksimum günlük cezayı tahakkuk ettirme yetkisine sahiptir, müşteri ise Kredi ürünü hizmet sözleşmesinde cezanın başka bir miktarının belirlenmediği durumda bu cezayı ödemekle yükümlüdür.</p>	<p>0.5%</p>
<p>3.5. საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების საკომისიოები: Kredi ürünü hizmet komisyonu oranı:</p>	<p>განისაზღვრება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე / Taraflarca imzalanan Sözleşme(ler) nezdinde belirlenecektir</p>
<p>3.6. დამატებითი პირობები / Ek Şartlar</p>	<p>კლინტი ვალდებულია საბანკო, საოპერაციო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ სს „ზირაათ ბანკი საქართველო“-ში გახსნილი ანგარიშებიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია გაზარდოს სესხზე არსებული საპროცენტო სარგებელი / Müşteri bütün banka akışlarını ZİRAAT BANKASI GÜRCİSTAN A.Ş'de olan hesaplarından yapmak mecburiyetindedir. Aksi durumda banka kredinin faiz oranını artırma yetkisine sahiptir.</p>

<p>3.7. მსესხებლის მიერ მიღებულ საკრედიტო პროდუქტებზე დასარიცხი წლიური საპროცენტო სარგებლის ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთი შესაძლებელია დამატებით განისაზღვროს წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებული დაკავშირებული ხელშეკრულებების მიხედვით, რომლის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ ხელშეკრულების „3.2.“ პუნქტში მითითებულ საპროცენტო განაკვეთის ოდენობას თუ, წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულებით, საფინანსო ბაზარზე არსებული ვითარებით, ბანკის პოლიტიკით და მხარეთა შორის ახალი შეთანხმებებით სხვა რამ არ დადგინდება. წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულების შესაბამისად საკრედიტო პროდუქტების გაცემა მსესხებელზე და მისი საკრედიტო განაცხად(ებ)ის დაკმაყოფილება ცალმხრივად დამოკიდებულია მხოლოდ ბანკის ნებაზე.</p>	<p>3.7. Müşterinin kullandığı kredi ürünü üzerinde tahakkuk ettirilecek yıllık faiz oranı (Değişen veya sabitlenmiş) GKS çerçevesinde taraflar arasında yapılacak ayrı bir sözleşme istinaden ilave olarak belirlenebilir. Ancak, iş bu sözleşme, piyasadaki önemli değişimler, Banka iç politikası ve taraflar arasında yapılan yeni bir anlaşma gereğince farklı bir oranın tespit edilmesi durumu hariç, yeni belirlenen faiz oranının minimum ve maksimum miktarının, GKS 3.2. maddesinde belirlenen orandan fazla olmaması şarttır. GKS gereğince, Müşteriye kredi kullanılması ve kredi başvurusunun olumlu değerlendirilmesi hakkında onay sadece Banka tarafından verilecektir.</p>
<p>3.8. მსესხებლის ყოველ კონკრეტულ საკრედიტო განაცხადს, ბანკი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს ბანკში დადგენილი საკრედიტო პოლიტიკის გათვალისწინებით, მსესხებლის გადახდისუნარიანობის, შემოსავლების, ფინანსური შედეგების, ბანკისათვის მიცემული დაპირებების შესრულების და წარმოდგენილი უზრუნველყოფის შეფასების გათვალისწინებით.</p>	<p>3.8. Banka tarafından, Müşterinin kredi başvurusu, Bankada geçerli olan Kredi Politikasına ve Müşterinin ödeme gücü, geliri, mali durumu, Bankaya karşı üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilip getirilmediği ve gösterilen teminatları değerlendirilmesine dayanarak incelenir.</p>
<p>3.9. ბანკი დამოუკიდებლად წყვეტს საკრედიტო პროდუქტით მომსახურების საკითხს.</p>	<p>3.9. Banka, Müşteriye kredi ürünleri hizmetinin verilmesi konusu ile ilgili tek taraftan karar alır.</p>
<p>3.10. ბანკი მსესხებელს საკრედიტო პროდუქტებით მომსახურებას გაუწევს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:</p>	<p>3.10. Banka tarafından,</p>
<p>3.10.1 მსესხებლის საკრედიტო განაცხადი დაკმაყოფილებს საკრედიტო პროდუქტის გაცემის პირობას;</p>	<p>3.10.1 Kredi Müşterisinin kredi başvuru kredi ürünlerinin kullanılmasına ilişkin şartlarla örtüşmesi halinde,</p>
<p>3.10.2 ბანკის საკრედიტო პოლიტიკით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;</p>	<p>3.10.2 Kredi başvurusu Banka Kredi Politikası gereğince belirlenen şartlara uygun olması,</p>
<p>3.10.3 წარმოდგენილი ფინანსური მაჩვენებლები შეესაბამება ბანკის მოთხოვნებს;</p>	<p>3.10.3 Kredi Müşterisinin mali durumunun Banka şartlarına uygun olması,</p>
<p>3.10.4 ბანკისათვის მისაღებ ვადაში გაფორმდება მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, ბანკისათვის მისაღები (გირავნობის, იპოთეკის, თავდებობის, ფულადი თანხის დაგირავების ან სხვა სახის) შესაბამისი უზრუნველყოფის ხელშეკრულებები.</p>	<p>3.10.4 Müşteri tarafından üstlenilen yükümlülüklerinin yerine getirilmesi açısından, Bankanın uygun gördüğü vade içerisinde ve uygun gördüğü teminat (Rehin, ipotek, para kaynaklarını rehin olarak gösterme, kefalet v.s.) sözleşmelerinin yapılması durumunda, kredi ürünleri kullanılabilir.</p>
<p>3.11 მსესხებლის მიერ წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულების მოთხოვნათა შესრულებაზე თავის არიდების შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს არ გაუწიოს მსესხებელს საკრედიტო მომსახურება და არ გასცეს მსესხებელზე საკრედიტო პროდუქტი.</p>	<p>3.11 Müşteri tarafından GKS ile üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmemesi durumunda, Banka, Müşteriye kredi ürünlerini kullanırmama ve kredi hizmeti vermeye yetkisine sahiptir.</p>
<p>3.12 მსესხებლის ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს წინამდებარე ძირითად და მის ფარგლებში გაფორმებული დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)იდან დაიფარება ქვემოთ მითითებული შემდეგი თანმიმდევრობით. ამასთან ერთად ბანკს ერთპიროვნულად უფლება აქვს აღნიშნული თანმიმდევრობის რიგითობის ცვლილების უფლება:</p>	<p>3.12 GKS çerçevesinde yapılan ilgili sözleşmeler nezdinde belirlenen Müşteri yükümlülükleri, aşağıdaki sıra ile kapatılır, ayrıca, banka bu sırayı kendi görüşüne göre değiştirme yetkisine sahiptir:</p>
<p>3.12.1 საკრედიტო მომსახურების საკომისიო;</p>	<p>3.12.1 Kredi hizmet komisyonu,</p>
<p>3.12.2 დავალიანებაზე დარიცხული საურავი/ პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში);</p>	<p>3.12.2 Kredi borcu üzerinde tahakkuk ettirilen ceza (Mevcut olması durumunda),</p>
<p>3.12.3 დარიცხული საპროცენტო სარგებელი;</p>	<p>3.12.3 Tahakkuk ettirilen faiz,</p>
<p>3.12.4 ძირითადი დავალიანება (ძირითადი თანხა).</p>	<p>3.12.4 Ana borç (ana para).</p>

<p>3.13 მსესხებლის მიერ წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულების ან მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დაკავშირებული ხელშეკრულების პირობ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში ან, თუ ბანკი მიზანშეუწონლად მიიჩნევს მსესხებლისათვის შემდგომი საკრედიტო პროდუქტ(ებ)ით მომსახურების გაწევას ბანკი უფლებამოსილია:</p>	<p>3.13 Müşteri tarafından, işbu GKS veya GKS çerçevesinde yapılan ilgili sözleşmeler nezdinde belirlenen yükümlülüklerin yerine getirilmemesi yada Bankanın müşteri ile kredi ilişkisinin sürdürülmesini uygun görmesi durumunda, Banka,</p>
<p>3.13.1 ცალმხრივად შეწყვეტოს წინამდებარე ძირითადი და მის ფარგლებში გაფორმებული დაკავშირებული ხელშეკრულებები, მოსთხოვოს მსესხებელს ათვისებული საკრედიტო პროდუქტების დავალიანების, კერძოდ ძირითადი თანხ(ებ)ის, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის, მომსახურების საკომისიოს, პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა სახის მომსახურების გადასახადების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა.</p>	<p>3.13.1 GKS ve GKS çerçevesinde yapılan ilgili sözleşmeleri tek taraftan fesih etme ve Müşterinin kullandığı kredi borcu, ana para, tahakkuk ettirilen faiz, hizmet komisyonu, ceza (olması durumunda) ve diğer hizmet masraflarını kısmen veya tamamen karşılama talebinde bulunma yetkisine sahiptir.</p>
<p>3.13.2 შეცვალოს ძირითადი/დაკავშირებული ხელშეკრულებების პირობები ნაწილობრივ ან მთლიანად.</p>	<p>3.13.2 Müşteriden, imzalanmış genel/ilgili sözleşme şartlarının kısmen veya tamamen değiştirilmesi talebinde bulunma yetkisine sahiptir.</p>
<p>4 უზრუნველყოფა</p>	<p>4. Teminat</p>
<p>4.1 ძირითადი ხელშეკრულებით (მისი დანართებითა და დამატებებით) გათვალისწინებული მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულება უზრუნველყოფილია:</p>	<p>4.1 Müşteri tarafından, GKS (ekleri ile ilaveleriyle) gereğince belirlenen yükümlülüklerin yerine getirilmesi açısından gösterilen teminat aşağıdaki gibidir:</p>
<p>4.1.1. მსესხებლის უძრავი და მოძრავი ქონებით, ასევე მსესხებლის საბანკო ანგარიშებზე, მათ შორის ვადიანი ანაზრის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებით.</p>	<p>4.1.1. Müşterinin sahip olduğu menkul ve gayrimenkuller, ayrıca müşterinin banka hesaplarındaki, mevduat hesabi dahil olmak üzere mali kaynaklar,</p>
<p>4.1.2. მსესხებლის და/ან მესამე პირის საკუთრებაში არსებულ უძრავ-მოძრავ ქონებაზე იპოთეკა/გირავნობით, თავდებობით ან სხვა სახის უზრუნველყოფით. ამასთან, როდესაც იპოთეკით ან/და გირავნობით დატვირთული უძრავ/მოძრავი ნივთის (სესხის უზრუნველყოფის საშუალების) რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად დასაფარავად, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს მსესხებლის და/ან თავდების საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავ-მოძრავი ქონების რეალიზაცია დარჩენილი დავალიანების დაფარვის მიზნით.</p>	<p>4.1.2. Müşterinin ve/veya üçüncü şahsın sahip olduğu menkul ve gayrimenkuller, kefalet veya diğer teminatlar. İpoteğe/rehine konu olan menkul/gayrimenkulün satışa çıkarılmasından sonra kredi miktarının karşılanmaması durumunda, banka kredi miktarını kapatmak için kredi müşterisi/kefilin sahip olduğu tüm malı (menkul/gayrimenkul) satışa çıkarma yetkisine sahiptir.</p>
<p>4.2. მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების ან საკრედიტო და საგარანტიო ვალდებულებების უზრუნველყოფის საგნის განადგურების, მისი ღირებულების შემცირების, გაუფასურების ან დაზიანების შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია წარუდგინოს ბანკს ბანკისათვის მისაღები დამატებითი უზრუნველყოფის საშუალება და გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა, საფუძველია წინამდებარე და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისა.</p>	<p>4.2. Müşterinin finansal durumunun kötüleşmesi veya kredi teminatı olarak gösterilen menkul/gayrimenkulün imha edilmesi, değerinin azalması veya bozulması durumunda, Müşteri, Bankanın uygun gördüğü ek teminatı göstermek ve ilgili sözleşmeyi yapmakla yükümlüdür. Müşteri tarafından söz konusu yükümlülüğün yerine getirilmemesi, GKS'nin ve ilgili sözleşmelerin Banka tarafından tek taraflı olarak vadeden önce feshinin gerekçesi olarak sayılacaktır.</p>
<p>4.3. წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული უძრავი/მოძრავი ქონება./ პერსონალური თავდებობა თუ სხვა საშუალება მოქმედებს აღნიშნული ძირითადი ხელშეკრულების ქვეშ გაფორმებულ დაკავშირებულ ხელშეკრულებებისთვისაც.</p>	<p>4.3. İşbu GKS ile yüklenmiş olduğu yükümlülüklerin teminatı olarak gösterilen menkul/gayrimenkul/kefalet veya diğer araçlar söz konusu GKS çerçevesinde imzalanmış olan tüm ilgili sözleşmeler için geçerlidir.</p>

<p>4.4. მსესხებელი ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით წინასწარ აცხადებს თანხმობას თავდებმა პირმა, იპოთეკის და გირავნობის საგნის მესაკუთრემ თავად დაფაროს ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული უზრუნველყოფილი კრედიტი, მათ შორის ვადის დადგომამდე წინსწრებით.</p>	<p>4.4. Müşteri, işbu sözleşmeye imza atarak ipotēge/rehine konu olan menkul/gayrimenkulün mal sahibi kefilin GKS çerçevesinde kullanılmış kredini önceden de kapatılabilmesi yetkisine sahip olduğunu kabul ve beyan eder.</p>
<p>5 მსესხებლის გარანტიები და განცხადებები</p>	<p>5. Beyanlar</p>
<p>5.1. მსესხებელი იძლევა გარანტიას და აცხადებს რომ:</p>	<p>5.1. Müşteri,</p>
<p>5.1.1 ძირითადი ხელშეკრულების დადების დღეს მისი მისამართია ძირითად ხელშეკრულებაში მითითებული მისამართი;</p>	<p>5.1.1 Genel Kredi Sözleşmesi yapıldığında bulunduğu adres gerçekten GKS'de belirttiği adres olduğunu,</p>
<p>5.1.2 ძირითადი ხელშეკრულების დადების დღეს მისი ელექტრონული ფოსტის მისამართია ძირითად ხელშეკრულებაში მითითებული ელექტრონული ფოსტა;</p>	<p>5.1.2 Genel Kredi Sözleşmesi yapıldığında E-mail adresi gerçekten GKS' de belirttiği E-mail adresi olduğunu ,</p>
<p>5.1.3 ძირითადი ხელშეკრულების დადებისას არ იმყოფება შეცდომაში, მოტყუების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის გავლენის ქვეშ, არ აქვს ადგილი მსესხებლის წინააღმდეგ წინასწარგანზრახულ ბოროტ შეთქმულებას ან მძიმე გარემოებების არსებობას;</p>	<p>5.1.3 Genel Kredi Sözleşmesinin yapıldığında herhangi bir baskı altında olmadığını, kandırılmış, aleyhine gerçekleştirilen komplo, gasp veya tehdide maruz kalmadığını,</p>
<p>5.1.4 ბანკს წარუდგინა მისი ფინანსური მოღვაწეობის განვლილი პერიოდებისა და ბოლო საანგარიშო პერიოდის შესაბამისი სრული და სარწმუნო ფინანსური ინფორმაცია;</p>	<p>5.1.4 Kendisinin Bankaya karşı ibraz ettiği finansal faaliyetlerle ilgili (Geçmiş ve son dönem) belgelerin tam ve doğru olduğunu,</p>
<p>5.1.5 გააჩნია ხელშეკრულების დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება და შესაძლებლობები;</p>	<p>5.1.5 Sözleşmelerin yapılması, imzalanması ve sözleşme şartlarının yerine getirilmesi için gerekli yetkiye ve imkanlara sahip olduğunu,</p>
<p>5.1.6 არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში (მოპასუხის, მოსარჩელის ან მესამე პირის სახით), რითაც საფრთხე ემუქრება ბანკის წინაშე ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.</p>	<p>5.1.6 Bankaya karşı üstlenilen yükümlülüklerin kusursuz olarak yerine getirilmesine engel olabilecek herhangi bir davaya katılmadığını (Davalı, davacı veya üçüncü şahıs olarak), beyan ve taahhüt eder.</p>
<p>6 ინფორმაციის მოთხოვნა, მსესხებლის გაფრთხილება, მხარეთა უფლებამოსილებანი და ვალდებულებები;</p>	<p>6 Bilgi İstenmesi, Müşterinin Uyarılması, Tarafların Yetkileri ve Yükümlülükleri</p>
<p>6.1. ბანკს უფლება აქვს მსესხებლისაგან ანდა ნებისმიერი მესამე პირისგან მიიღოს ყველაწარმოების მისთვის საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტები და კომენტარები, როგორც საკრედიტო პროდუქტების მიზნობრივად გამოყენებაზე, ისე მსესხებლის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესამოწმებლად.</p>	<p>6.1. Banka, Müşteriden veya herhangi bir üçüncü şahıstan kredinin amacına uygun şekilde kullanılıp kullanmadığının ve Müşteri finansal durumunun ve malvarlığının kontrol edilmesi açısından, her türlü bilgi, belge ve açıklamayı isteme ve alma yetkisine sahiptir.</p>
<p>6.2. ბანკის მოთხოვნის საფუძველზე მსესხებელმა ბანკს უნდა წარუდგინოს ძირითადი/დაკავშირებული ხელშეკრულებების მეშვეობით ათვისებული საკრედიტო პროდუქტების მიზნობრივად გამოყენების (გახარჯვის) დამადასტურებელი დოკუმენტები, დაუშვას ბანკის წარმომადგენელი მის საკუთრებაში მყოფ შენობა-ნაგებობებში (საცხოვრებელი და საქმიანობის ადგილის მიხედვით), იპოთეკით დატვირთული ან/და დაგირავებული ქონების დათვალიერების მიზნით;</p>	<p>6.2. Bankanın talebi üzerine, Müşteri, genel kredi sözleşmesi/ilgili sözleşmeler gereğince kullandığı kredinin amacına uygun şekilde harcandığını (kullanıldığı) gösteren belgeleri göstermek, teminat olarak gösterildiği gayrimenkulün incelenmesi için, Banka temsilcisini kendisine ait olan binaya (ikamet veya faaliyet gösterdiği adrese göre) almak ile yükümlüdür.</p>
<p>6.3. ბანკის მოთხოვნის საფუძველზე წარმოადგინოს ათვისებული თანხების მიზნობრივი გამოყენების კონტროლისა და ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია. მსესხებლის მიერ ბანკში წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაციის სიზუსტეზე და უტყუარობაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მსესხებელს;</p>	<p>6.3. Bankanın talebi üzerine müşteri, kredinin amacına uygun şekilde harcandığını ve sözleşmenin yerine getirildiğini gösteren belgeleri toplamak ve Bankaya ibraz etmekle yükümlüdür. Müşteri tarafından ibraz edilen belgelerin doğruluğundan kendisi sorumludur.</p>

6.4. მსესხებელი ვალდებულია, შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები ბანკს წარუდგინოს ასეთი მოთხოვნის გაკეთებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში, თუ ბანკის მოთხოვნაში სხვა ვადა არ არის დადგენილი;	6.4. Müşteri, Banka tarafından gerekli evrakların talep edildiği tarihten itibaren 7 (yedi) takvim günü içerisinde istenilen evrakları ibraz etmekle yükümlüdür (Bankanın tarafından farklı bir süre istenmediği durumunda).
6.5. ბანკი უფლებამოსილია აცნობოს მსესხებელს ის ინფორმაცია, რაც ბანკის შეხედულებით, მსესხებლის მიერ ხელშეკრულებ(ებ)ის დარღვევას ან მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის ისეთ გაუარესებას ადასტურებს, რაც, საფრთხეს უქმნის ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას და მისცეს მას დრო აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად ან უარსაცოფლად;	6.5. Banka tarafından, Müşterinin sözleşmeler gereğince üstlenilen yükümlülükleri yerine getirmesini engelleyen bir durumun ortaya çıktığının herhangi bir yoldan öğrenilmesi halinde (Müşterinin finansal durumunun kötüleşmesi), Müşteri uyarılarak Bankanın elindeki bilginin kabul veya reddedilmesi yönünde zaman verilir.
6.6. მსესხებლისათვის მიცემულ ვადაში ინფორმაციის წარუდგენლობა ბანკს აძლევს საფუძველს ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულებები და აღარ აწარმოოს კლიენტის ფინანსირება და საკრედიტო პროდუქტებით მომსახურება, ასევე მოითხოვოს ბანკის მიმართ არსებული დავალიანების, ძირის, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის, მომსახურების საკომისიოს, საურავის/ პირგასამტხლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუყოვნებლივ სრული ან ნაწილობრივი დაფარვა ან ძირითადი/დაკავშირებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის ცვლილება.	6.6. Müşteriye verilen vade içerisinde, Banka tarafından talep edilen bilginin iletilmemesi durumunda, Banka, Müşteri ile yapılan sözleşmeyi vadeden önce feshetme, kredi hizmetini kesme, ayrıca Bankaya karşı olan borcun (Ana para, tahakkuk ettirilen faiz, komisyon ve olması durumunda ceza) tamamen veya kısmen kapatmasını isteme veya GKS/ilgili sözleşmeler şartlarını değiştirme yetkisine sahiptir.
6.7. მსესხებელი ვალდებულია წინასწარ აცნობოს ბანკს:	6.7. Müşteri
6.7.1 თავისი ადგილსამყოფელის (მისამართის) შეცვლის და ახალი მისამართის შესახებ სრული ინფორმაცია, აღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა;	6.7.1 Bulunduğu adresin değişmesi durumunda, yeni adresinin adres değişikliğinden an az 10 takvim günü içerisinde,
6.7.2 ფინანსურ და/ან ქონებრივ მდგომარეობაში მოსალოდნელი უარყოფითი ცვლილებების და ასევე იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ ასეთი ცვლილებები, აღნიშნული გარემოებების დადგომამდე 10 კალენდარული დღით ადრე;	6.7.2 Finansal/maddi durumunun kötüleşmesi veya olası kötüleşmesi halinde 10 takvim günü içerisinde Bankayı bildirmek ile yükümlüdür.
6.8. ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში მსესხებელს უფლება არა აქვს ბანკთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე:	6.8. Müşteri tarafından Bankaya karşı üstlenilen yükümlülüklerin devam ettiği dönem boyunca, Müşterinin, Bankaya önceden bilgi vermeden,
6.8.1 იკისროს საკრედიტო ვალდებულებები მესამე პირ(ებ)ის (ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის) წინაშე;	6.8.1 Herhangi bir gerçek veya tüzel kişilerden kredi almak,
6.8.2 აილოს ან გასცეს კრედიტები;	6.8.2 Kredi alma yada gerçek-tüzel kişilere kredi verme ,
6.8.3 იკისროს თავდებობა;	6.8.3 Kefil olma,
6.8.4 ისარგებლოს სხვა საბანკო დაწესებულებ(ებ)ის და საკრედიტო კავშირ(ებ)ის ნებისმიერი საბანკო და საკრედიტო მომსახურებით;	6.8.4 Diğer Bankalarda veya finansal kurumlarda bankacılık ve kredi hizmetini kullanmak,
6.8.5 გირავნობით/იპოთეკით დატვირთოს საკუთარი ქონება.	6.8.5 Kendisine ait olan malın üzerinde ipotek/rehin konulması ile ilgili işlemleri yapma hakkı yoktur.
6.9. მსესხებელი ვალდებულია და აცხადებს თანხმობას პირველივე მოთხოვნისთანავე აუნაზღაუროს ბანკს მისი ყველა დანახარჯი, რომელიც ბანკმა გასწია ხელშეკრულებ(ებ)ის იძულებით შესრულებისათვის;	6.9. Müşteri, Banka tarafından sözleşme şartlarının zorla yerine getirilmesi için yapılan tüm masrafları bankanın talep ettiği anda karşılayacağını kabul ve beyan eder.
6.10. როგორც ბანკი, ასევე მსესხებელი იღებს ვალდებულებას დაიცვან ერთმანეთის შესახებ მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ასევე გაუფრთხილდნენ ერთმანეთის რეპუტაციას;	6.10. Hem Banka, hem Müşteri, yürürlükte olan kanun gereğince öngörülen durumlar dışında, kendilerine ait olan bilgileri gizli tutmak ve reputasyonu korumakla yükümlüdürler.

<p>6.11. მსესხებელი ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას, ბანკმა მსესხებლის შესახებ არსებული უარყოფითი (ნეგატიური) ინფორმაცია გასცეს ნებისმიერ პირზე ანდა განათავსოს იქ, სადაც ბანკი ჩათვლის საჭიროდ ასეთი ინფორმაციის განთავსებას;</p>	<p>6.11. Hem Banka, hem Müşteri, yürürlükte olan kanun gereğince öngörülen durumlar dışında, kendilerine ait olan bilgileri gizli tutmak ve repütasyonu korumakla yükümlüdürler.</p>
<p>6.12. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისას, ბანკი ასევე უფლებამოსილია მსესხებლის საკრედიტო ისტორიის მონაცემები გამოაქვეყნოს ან/და გადასცეს მესამე პირებს ყოველგვარი შეზღუდვისა და ნებართვების გარეშე.</p>	<p>6.12. Banka, Müşteri tarafından, sözleşme(sözleşmeler) gereğince üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmemesi durumunda, Müşterinin kredi geçmişi ile ilgili bilgileri, izin almadan ve kısıtlamadan yayınlama ve/veya üçüncü şahıslara iletme yetkisine sahiptir.</p>
<p>6.13. მსესხებელი უფლებამოსილია:</p>	<p>6.13. Kredi müşterisinin yetkileri:</p>
<p>6.13.1 უარი თქვას დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებაზე ხელშეკრულების დადების, ან თუ ხელშეკრულების მიწოდება ხდება ხელშეკრულების დადების შემდეგ, ხელშეკრულების მიღების დღიდან, 14 კალენდარული დღის განმავლობაში;</p>	<p>6.13.1. Uzaktan yapılan sözleşmeyi, sözleşmenin imzalanmasından veya sözleşmenin sözleşmenin imzalanmasından sonra teslim alınmasından 14 takvim günü içerisinde reddedebilir;</p>
<p>6.13.2 უარი თქვას სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის საკრედიტო ხელშეკრულებაზე მისი გაფორმებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში;</p>	<p>6.13.2. Özel finansal ürünün kredi sözleşmesi imzalanmasından 14 takvim günü içerisinde reddedebilir;</p>
<p>6.13.3 ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ ვრცელდება იმ საფინანსო პროდუქტებზე, რომელთა ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე განხორციელებულ, ბანკის კონტროლს გარეთ არსებულ ცვლილებებზე, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადებში;</p>	<p>6.13.3. Sözleşmenin reddetme hakkı, sözleşmenin reddetme hakkının kullanılması döneminde fiyatı bankanın kontrolü dışında olan finansal piyasada meydana gelen değişikliklere bağlı olan finansal ürünler için geçerli değildir;</p>
<p>6.13.4 ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ ვრცელდება საფინანსო პროდუქტებზე, რომლებიც მოიცავს და/ან დაკავშირებულია ვალუტის გაცვლასთან, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებთან, მიმოქცევად ფასიან ქაღალდებთან, საინვესტიციო ფონდის მიერ ემიტირებულ უფლებებთან, ფიუჩერსებთან, მათ შორის, ისეთ ეკვივალენტურ ინსტრუმენტებთან, რომელთა ანგარიშსწორება ხდება ნაღდი სახით, საპროცენტო განაკვეთის ფორვარდთან (FRAs), საპროცენტო განაკვეთის, ვალუტის და კაპიტალის სვოპებთან, ამ პუნქტით მოცემული ნებისმიერი ინსტრუმენტის შექმნის ან გასხვისების ოფციებთან, მათ შორის, ისეთ ეკვივალენტურ ინსტრუმენტებთან, რომელთა ანგარიშსწორება ხდება ნაღდი სახით, ასევე, ვალუტის და საპროცენტო განაკვეთის ოფციებთან, დოკუმენტალურ ოპერაციებთან (აკრედიტივი, საბანკო გარანტია, დოკუმენტალური ინკასო, აქცეპტები და სხვა), ესქრო ანგარიშთან, ფაქტორინგულ ოპერაციებთან;</p>	<p>6.13.4. Sözleşmenin reddetme hakkı, döviz, para piyasası araçları, geçerli olan menkul kıymetler, yatırım fonu tarafından emisyon edilmiş haklar, vadeli kontrat, ödemesi nakitle yapılacak olan eşdeğerli araçlar dahil olmak üzere faiz oranı forward (FRAs), faiz oranı, döviz ve sermaye takası (swap), ödemesi nakitle yapılacak olan eşdeğerli araçlar dahil olmak üzere bu maddeyle açıklanmış herhangi bir aracın alınması ve başkasına devredilmesi opsiyonu, döviz ve faiz oranları opsiyonları, belgesel operasyonlar (akreditif, banka garantisi, belgesel haciz, kabuller ve başka), emanet hesabi, faktöring işlemleri içeren ve/veya bunlarla ilgili olan finansal ürünler için geçerli değildir.</p>
<p>6.13.5. უარის თქმის უფლება არ ვრცელდება ხელშეკრულებებზე, რომლებიც სრულად შესრულდა ორივე მხარის მიერ, მომხმარებლის აშკარა და ცალსახა მოთხოვნის საფუძველზე უარის თქმის უფლების გამოყენებამდე და სადეპოზიტო ხელშეკრულებებზე;</p>	<p>6.13.5. Reddetme hakkı, reddetme hakkının kullanılmasından önce kullanıcının açık ve kesin talebine dayanarak her iki tarafça tam olarak gerçekleştirilmiş sözleşmeler ve mevduat sözleşmeler için geçerli değildir;</p>

<p>6.13.5. სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის საკრედიტო ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ ვრცელდება ისეთ კრედიტებზე, რომლებიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით ან/და „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფინანსური გირავნობით, არამატერიალური ქონებრივი სიკეთით/მომძრავი ქონებით, გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებით ან/და ძვირფასი ლითონებით ან/და ძვირფასი ქვებით;</p>	<p>6.13.6. Özel finansal ürünün kredi sözleşmesinin reddetme hakkı, gayrimenkul ve/veya "Mali Rehin, Takas ve Türevler Hakkında" (ON FINANCIAL COLLATERAL ARRANGEMENTS, NETTING AND DERIVATIVES) Gürcistan Kanunu ile belirlenmiş motorlu taşıtlar ve/veya kıymetli metaller ve/veya kıymetli taşlar hariç olmak üzere finansal rehin, maddi olmayan duran varlıklar/ menkulle teminatli krediler için geçerli değildir;</p>
<p>6.13.5. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების გაგზავნა უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #100</p>	<p>6.13.7. Sözleşmenin reddedilmesi hakkında bildirim aşağıda açıklanan adrese gönderilmesi gerekmektedir: Tiflis, Zviad Gamsakhurdia nehir kıyısı #100</p>
<p>6.14. მსესხებელი ვალდებულია: 6.14.1. სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის საკრედიტო ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების შემთხვევაში, მატერიალურად ან სხვა სანდო საშუალებებით შეატყობინოს ბანკს უარის თქმის უფლების გამოყენების შესახებ, ამ ხელშეკრულების 6.13.2. მუხლით დადგენილ ვადაში;</p>	<p>6.14. Kredi müşterisi: 6.14.1. Özel finansal ürünün kredi sözleşmesine ilişkin reddetme hakkının kullanılması durumunda, işbu sözleşmenin 6.13.2. maddesinde belirlenmiş süre içerisinde, bankaya reddetme hakkının kullanılmasına ilişkin maddi olarak veya diğer güvenilir araçlarla bilgi verecektir;</p>
<p>6.14.2 სრულად დაუბრუნოს ბანკს მიღებული თანხა ან/და ქონება ხელშეკრულების დისტანციურად დადებისას ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების გაგზავნის დღეს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს შეტყობინების გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდრული დღისა;</p>	<p>6.14.2. Sözleşmenin uzaktan yapıldığında sözleşmenin reddetme hakkında bildirim gönderildiği günde bankaya derhan ama en geç 30 (otuz) takvim günü içinde alınan tutar ve/veya mal iade edecektir;</p>
<p>6.14.3 სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის საკრედიტო ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებისას, გადაუხადოს ბანკს კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხა და ამ თანხაზე კრედიტის სარგებლობის პერიოდის განმავლობაში დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი, უარის თქმის შესახებ შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდრული დღისა;</p>	<p>6.14.3. Özel finansal ürünün kredi sözleşmesine ilişkin reddetme hakkının kullanılması durumunda Bankaya kredinin kalan ana parasını ve bu tutara kredinin kullanıldığı süre içerisinde tahakkuk ettirilmiş ve ödenmemiş faizini, reddetme hakkında bildirim gönderildiğinden itibaren en geç 30 (otuz) takvim günü içinde ödeyecektir;</p>
<p>6.14.4 კრედიტზე დარიცხული პროცენტი იანგარიშება ხელშეკრულებით შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.</p>	<p>6.14.4. Krediyeye uygulanan faiz, sözleşmeyle anlaşıldığı faiz oranına göre hesaplanır.</p>
<p>6.15. ბანკი ვალდებულია: 6.15.1. საფინანსო პროდუქტის შეთავაზებისას/მიწოდებამდე ზეპირსიტყვიერად გააცნოს მსესხებელს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები, გარდა შეთავაზების დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებისას;</p>	<p>6.15. Banka: 6.15.1 Kredi müşterisine finansal ürünü teklif ettiğinde /verilmeden önce, teklifin uzaktan iletişim araçlarıyla kullanıldığı durumlar hariç, sözleşmenin önemli şartları hakkında sözlü olarak bilgi verecektir;</p>
<p>6.15.2. საფინანსო პროდუქტის შეთავაზების სატელეფონო ზარის მეშვეობით განხორციელებისას მიაწოდოს მსესხებელს ინფორმაცია ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების არსებობის ან არარსებობის შესახებ;</p>	<p>6.15.2. Finansal ürünün telefon görüşmesi yoluyla teklif edildiğinde, kredi müşterisine sözleşmeye ilişkin reddetme hakkının sahip olması veya olmaması hakkında bilgi verecektir;</p>
<p>6.15.3. სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის საკრედიტო ხელშეკრულებაზე უარის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს მსესხებელს და მესამე მხარეს დაკავშირებული ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე, რომელიც დაიდო ბანკთან ან მესამე მხარესთან, ბანკსა და მესამე მხარეს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე;</p>	<p>6.15.3. Özel finansal ürünün kredi sözleşmesine ilişkin reddetme hakkının kullanılması durumunda, kredi müşterisine ve üçüncü kişiye, banka ve üçüncü kişi arasında mevcut olan sözleşmeye istinaden banka ve üçüncü kişi arasında yapılan ilgili sözleşmenin iptal edilmesi hakkında derhal bilgi verecektir;</p>

<p>6.15.4. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღების დღეს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს შეტყობინების მიღების დღიდან 30 (ოცდაათი) კალენდრული დღისა, დაუბრუნოს მსესხებელს დისტანციური ხელშეკრულების ფარგლებში მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხა, ამ ხელშეკრულების 6.16.1 მუხლით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის/ასანაზღაურებელი ხარჯის გამოკლებით.</p>	<p>6.15.4 Sözleşmenin reddedilmesi hakkında bildirimini aldığı gün, derhal ancak bildirim alındığı tarihten itibaren en geç 30 (otuz) takvim günü içerisinde, kredi müşterisine uzaktan yapılan sözleşmenin kapsamında kullanıcı tarafından ödenmiş tutarı, işbu sözleşmenin 6.16.1. maddesiyle göze alınmış ödenecek tutar/kapatılacak masraf hariç geri ödeyecektir.</p>
<p>6.16. ბანკი უფლებამოსილია: 6.16.1. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების შემთხვევაში მსესხებელს დააკისროს ბანკის მიერ მესამე პირისთვის გაწეული/გასაწევი ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება ფაქტობრივად გაწეული მომსახურებისა და პერიოდულობის პროპორციულად;</p>	<p>6.16. Bankanın yetkileri: 6.16.1. Sözleşmenin reddedilmesi hakkının kullanılması durumunda, kredi müşterisine banka tarafından üçüncü kişi için yapılan/yapılacağı masrafların verilen hizmetin ve dönemin orantılı ödetmesinden yükümlüdür;</p>
<p>6.16.2. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების შემთხვევაში, მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულების 6.14.3. მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია იმოქმედოს ამავე ხელშეკრულების დავების გადაწყვეტის მარეგულირებელი ნორმებით.</p>	<p>6.16.2. Sözleşmenin reddetme hakkının kullanılması durumunda, kredi müşterisi tarafından işbu sözleşmenin 6.14.3. maddesinde belirtilen yükümlülüğün yerine getirilmemesi halinde, Banka, aynı sözleşmenin uyuşmazlık çözümüne ilişkin düzenleyici normlarına göre hareket etme yetkisine sahiptir.</p>
<p>7 წინამდებარე ძირითადი და მის ფარგლებში გაფორმებული დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ის პირობების დარღვევა და მხარეთა ურთიერთპასუხისმგებლობა</p>	<p>7 GKS ve GKS Çerçevesinde Yapılan İlgili Sözleşme Şartlarının İhlali ve Tarafların Sorumlulukları</p>
<p>7.1. ძირითადი ხელშეკრულების მონაწილე თითოეულ მხარეს უფლება აქვს, მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებ(ებ)ისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება;</p>	<p>7.1. GKS'nin taraflarından her biri, diğer taraftan, sözleşme şartları ve mevcut olan yasalar gereğince, üstlenilen yükümlülüklerin korunmasını talep etme yetkisine sahiptir.</p>
<p>7.2. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის მიერ, შეთანხმებით ან/და ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შეცვალოს ხელშეკრულებების პირობები, რომელიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) კლიენტის მხრიდან ვალდებულების დაფარვის საბოლოო ვადას, გადახდის გრაფიკს, საპროცენტო სარგებელს და/ან საკომისიო სარგებელს და/ან სხვა მოსაკრებელსა და ჯარიმებს, პირგასამტეხლოს ოდენობას. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ კლიენტს ეცნობება წერილობით, ასეთი ცვლილებების ძალაში შესვლამდე არანაკლებ 15 საბანკო დღით ადრე. ამასთან, ზემოთ მითითებულ ვადაში, კლიენტს უფლება აქვს ბანკთან რაიმე წინასწარი შეთანხმების გარეშე, მიიღოს შეთავაზებული ახალი პირობები ან უარი თქვას საბანკო მომსახურებაზე და ვადაზე ადრე დაფაროს ბანკის წინაშე არსებული ყველა დავალიანება ან კონკრეტული ხელშეკრულების საფუძველზე არსებული დავალიანება. მითითებულ ვადაში, კლიენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ვადაზე ადრე სრულად დაუფარაობის შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ კლიენტი თანახმაა მიიღოს ახალი პირობები და ბანკის წერილობითი შეტყობინება ჩაითვლება კონკრეტული ხელშეკრულების დამატებად.</p>	<p>7.3. Banka, Banka kaynaklarının ve/veya Gürcistan'da mevcut olan yasalar gereğince belirlenen koşulların değişmesi ve/veya döviz borsasında veya diğer finansal piyasalarda herhangi bir değişikliğin oluşması durumunda, kredi riskini veya diğer olası olumsuz sonuçları önlemek için, faiz ve/veya komisyon ve/veya diğer cezalar bedelini içeren GKS'nin şartlarını değiştirme yetkisine sahiptir. GKS değiştirilmesi ile ilgili karar yürürlüğe girmeden 2 (İki) önce, Müşteriye yazı ile bildirilir. Ayrıca, bu zaman içerisinde, Müşteri, Banka ile herhangi bir ön anlaşma yapmadan, Banka tarafından teklif edilen şartları kabul etme veya reddetme yetkisine sahip olmakla beraber tüm kredi borcunu vadesinden önce kapatabilir. Belirtilen 15 takvim günü içerisinde, Müşteri tarafından sözleşme gereğince öngörülen kredi borcunun vadesinden önce kapatılmaması durumunda, Müşteri, teklif edilen şartları kabul etmiş gibi sayılıp Bankanın yazılı bildirisi sözleşmenin eki olarak kabul edilecektir.</p>

<p>7.3. ბანკი უფლებამოსილია საბანკო ოპერაციების წყაროს ან/და საკრედიტო რესურსების ფორმირების ან/და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების ან/და სავალუტო ბირჟაზე ან სხვა საფინანსო ან უძრავი ქონების ბაზარზე ცვლილებების შემთხვევაში, საკრედიტო რისკების ან/და არასასურველი საბანკო შედეგების შემცირების მიზნით, შეცვალოს ძირითადი ხელშეკრულებების პირობები, რომელიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) საპროცენტო სარგებელს და/ან საკომისიო სარგებელს და/ან სხვა მოსაკრებელსა და ჯარიმებს, პირგასამტეხლოს ოდენობას. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ კლიენტს ეცნობება წერილობით, ასეთი ცვლილებების ძალაში შესვლამდე არანაკლებ 2 (ორი) თვისა. ამასთან, ზემოთ მითითებულ ვადაში, კლიენტს უფლება აქვს ბანკთან რაიმე წინასწარი შეთანხმების გარეშე, მიიღოს შეთავაზებული ახალი პირობები ან უარი თქვას საბანკო მომსახურებაზე და ვადაზე ადრე დაფაროს ბანკის წინაშე არსებული ყველა დავალიანება ან კონკრეტული ხელშეკრულების საფუძველზე არსებული დავალიანება. 15 კალენდარული დღის ვადაში, კლიენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ვადაზე ადრე სრულად დაუფარაობის შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ კლიენტი თანახმაა მიიღოს ახალი პირობები და ბანკის წერილობითი შეტყობინება ჩაითვლება კონკრეტული ხელშეკრულების დამატებად.</p>	<p>7.3. Banka, Banka kaynaklarının ve/veya Gürcistan'da mevcut olan yasalar gereğince belirlenen koşulların değişmesi ve/veya döviz borsasında veya diğer finansal piyasalarda herhangi bir değişikliğin oluşması durumunda, kredi riskini veya diğer olası olumsuz sonuçları önlemek için, faiz ve/veya komisyon ve/veya diğer cezalar bedelini içeren GKS'nin şartlarını değiştirme yetkisine sahiptir. GKS değiştirilmesi ile ilgili karar yürürlüğe girmeden 15 takvim günü önce, Müşteriye yazı ile bildirilir. Ayrıca, 15 takvim günü içerisinde, Müşteri, Banka ile herhangi bir ön anlaşma yapmadan, Banka tarafından teklif edilen şartları kabul etme veya reddetme yetkisine sahip olmakla beraber tüm kredi borcunu vadesinden önce kapatabilir. Belirtilen 15 takvim günü içerisinde, Müşteri tarafından sözleşme gereğince öngörülen kredi borcunun vadesinden önce kapatılmaması durumunda, Müşteri, teklif edilen şartları kabul etmiş gibi sayılıp Bankanın yazılı bildirisi sözleşmenin eki olarak kabul edilecektir.</p>
<p>7.4. ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის მიერ ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გაუზავნოს შეტყობინება მსესხებელს და მოსთხოვოს საკრედიტო პროდუქტებით მიღებული თანხ(ებ)ის, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის, მომსახურების საკომისიოს, საურავის/პირგასამტეხლოს დაუყოვნებლივ სრული ან ნაწილობრივი დაფარვა. მსესხებელი ვალდებულია ბანკიდან ასეთი შეტყობინების მიღების შემდეგ, მასში მითითებულ ვადაში დააბრუნოს საკრედიტო პროდუქტებით მიღებული თანხები, მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან, მომსახურების საკომისიოს და დარიცხულ საჯარიმო თანხებთან (პირგასამტეხლოს) ერთად.</p>	<p>7.4. Banka, Müşteri tarafından sözleşme gereğince üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmemesi veya eksik olarak yapılması durumunda, Müşteriyi bilgilendirerek sözleşmeyi tek taraftan süresinden önce feshetme ve kredi hizmetini kesme, ayrıca Bankaya karşı olan borcun(Ana para, tahakkuk ettirilen faiz, komisyon ve olması durumunda ceza) tamamen veya kısmen kapatılmasını talep etme yetkisine sahiptir. Müşteri, Bankadan yukarıda adı geçen bildirim alınmasını müteakip bildiride gösterilen vade içerisinde kredi ürünü olarak kullandığı parayı tahakkuk ettirilen faiz, komisyon ve ceza bedeli ile beraber geri ödemekle yükümlüdür.</p>
<p>7.5. ბანკის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველს ასევე წარმოადგენს ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი</p>	<p>7.5. Aşağıda belirtilen durumlardan birinin ortaya çıkması halinde, Banka tarafından sözleşme tek taraftan feshedilebilir;</p>
<p>7.5.1. მსესხებელი დაარღვევს ხელშეკრულებ(ებ)ის ნებისმიერ ვალდებულებას;</p>	<p>7.5.1. Müşteri tarafından herhangi bir sözleşme şartının ihlal edilmesi,</p>
<p>7.5.2. მსესხებელი დაარღვევს დავალიანების დაფარვის ბანკთან შეთანხმებული გადახდის გრაფიკს ზედიზედ ორჯერ მაინც. გრაფიკით გათვალისწინებული თანხის ნაწილობრივი გადახდა არ ჩაითვლება გადახდის გრაფიკის შესრულებად;</p>	<p>7.5.2. Müşteri tarafından, bankayla anlaşmış olduğu kredi ödeme grafiğinin peş peşe iki sefer bozulması, taksitin eksik olarak ödenmesi grafik şartının yerine getirilmesi olarak sayılmamaktadır.</p>
<p>7.5.3. მსესხებელი არ შეასრულებს ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებულ ვალდებულებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;</p>	<p>7.5.3. Müşteri tarafından, kredi teminatına ilişkin olarak üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmemesi,</p>

<p>7.5.4. მმართველობითი ორგანოების, სასამართლო ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან გამოყენებული ღონისძიება ართულებს ან შეუძლებელს ხდის მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან მისი ვალდებულების დაფარვის მიზნით ქონების განკარგვას;</p>	<p>7.5.4. Yönetim organları, mahkeme veya benzer makamlar tarafından alınan herhangi bir karardan dolayı, kredi müşterisince üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmesinin veya kredi teminatı olarak gösterilen malın satışa çıkarılmasının zorlaşması veya imkansız olması,</p>
<p>7.5.5. მმართველობითი ორგანოების, სასამართლო ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან გამოყენებული ღონისძიება ართულებს ან შეუძლებელს ხდის მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან მისი ვალდებულების დაფარვის მიზნით ქონების განკარგვას;</p>	<p>7.5.5. Bankanın görüşüne göre veya bu konuda yetkili olan üçüncü şahıs tarafından teyit edildiğine göre, kredi Müşterisinin maddi ve finansal durumunun kendisi tarafından yüklenmiş olduğu yükümlülüklerin yerine getirilmesini engellenebilecek şekilde kötüleşmesi,</p>
<p>7.5.6. ბანკთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე საკრედიტო პროდუქტებით ათვისებული თანხების ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენება მოხდა მისი მიზნობრიობის დარღვევით;</p>	<p>7.5.6. Banka ile anlaşmadan, kredi olarak kullanılan paranın tamamen veya kısmen başka bir amaçla kullanılması,</p>
<p>7.5.7. ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელსაც ადასტურებდა მსესხებელი ან რაც მოცემულია ხელშეკრულებ(ებ)ში, აღმოჩნდება არსებითად არასწორი;</p>	<p>7.5.7. Müşteri tarafından beyan edilen garantilerin veya beyannamenin veya sözleşmede belirtilen maddelerin doğru olmaması,</p>
<p>7.5.8. თუ მსესხებელი უარს იტყვის ბანკის წინადადებაზე ცვლილება შევიდეს ძირითად ან დაკავშირებულ ხელშეკრულებაში;</p>	<p>7.5.8. Müşterinin, GKS veya ilgili sözleşmelerde değişikliklerin yapılması ile ilgili bankanın teklifinin reddedilmesi,</p>
<p>7.5.9. თუ მსესხებელი უარს იტყვის ბანკის წინადადებაზე შეიცვალოს საკრედიტო პროდუქტებზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი ან გაწეული მომსახურების საკომისიოს ოდენობა ან საურავის/პირგასამტეხლოს ოდენობა.</p>	<p>7.5.9. Müşterinin, kredi ürünleri üzerinde tahakkuk ettirilen faiz oranını, verilen hizmet komisyonu veya ceza miktarının değiştirilmesi teklifini reddetmesi.</p>
<p>7.5.10. ბანკის მიმართ ნებისმიერი დავალიანების არსებობის შემთხვევაში ბანკი, უფლებამოსილია, ერთპიროვნულად ჩამოწეროს აღნიშნული თანხები მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშიდან (კონვერტაციის უფლების გათვალისწინებით) და წარმართოს აღნიშნული თანხები დავალიანებების დასაფარავად. ასევე ბანკს აქვს უფლება მსესხებლის საკრედიტო ვალდებულებებში გაქვითოს როგორც მსესხებლის ასევე სოლიდარულად თავდები პირის მიმართ დეპოზიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება;</p>	<p>7.5.10. Kredi taksitinin ödeme günü geldiğinde Banka, Müşterinin herhangi bir hesabından borcu miktarında (Konvertasyon hakkı dahil) para kesme ve borcunu kapatma yetkisine sahiptir. Ayrıca, Banka müşterinin kredi yükümlülüğünü hem müşterinin, hem müteselsil kefile karşı mevduat sözleşmesinden kaynaklanan yükümlülüklerden kesme yetkisine sahiptir.</p>
<p>7.5.11. ბანკის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მსესხებელი იღებს ვალდებულებას სხვა მომსახურე ბანკს (ასეთის არსებობისას) წარუდგინოს გადახდის დავალება მისი ნებისმიერი საბანკო ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის (გადარიცხვის) შესახებ. აღნიშნული თანხები მიმართული უნდა იქნას ბანკის მიმართ არსებული დავალიანების დაფარვაზე;</p>	<p>7.5.11. Bankanın yazılı talebi üzerine, Müşteri, diğer çalıştığı Bankaya (Böyle bir Bankanın olması durumunda) nezdindeki herhangi bir hesabından gerekli miktarda para kesilmesi/havale yapılmak üzere ödeme emri vermekle yükümlüdür. Söz konusu para, Müşterinin Bankaya karşı borcunun kapatılması için kullanılacaktır.</p>
<p>7.5.12. მსესხებელი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს მსესხებლის დავალიანების იძულებითი წესით ამოღებისათვის გაწეული ნებისმიერი დანახარჯი და ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შედეგად ბანკზე მიყენებული ზარალი, რომელიც მიადგა ან მიადგება ბანკს წინამდებარე ძირითადი და დაკავშირებული ხელშეკრულებებით მსესხებლის მიერ გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის დარღვევით;</p>	<p>7.5.12. Müşteri, Banka tarafından kredi borcunun ödettilmesi için yapılan masrafları karşılamak ve sözleşmeler gereğince üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmemesi veya sözleşmeyle belirlenmiş herhangi bir şartın ihlal edilmesi nedeniyle, Bankanın gördüğü zararı ödemek ile yükümlüdür.</p>

<p>7.5.13. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიეწიება ბანკს მსესხებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების დარღვევის შედეგად კრებითი და დაემატება ამ ხელშეკრულებით ან სხვაგვარად მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.</p>	<p>7.5.13. Müşteri ile Banka arasındaki sözleşme şartlarının ihlal edilmesi neticesinde, Bankaya verilen her yetki, GKS nezdinde veya başka bir şekilde verilen yetkilere eklenir.</p>
<p>8 დაზღვევა</p>	<p>8. Sigorta</p>
<p>8.1. თუ, დაკავშირებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია დაზღვევის განხორციელება, მსესხებელი ვალდებულია:</p>	<p>8.1. İlgili sözleşmelere istinaden, Müşteri gerekli sigortaların yapılmasını aşağıdaki şartlarda kabul eder;</p>
<p>8.1.1. დაზღვევა განხორციელოს ბანკისათვის მისაღებ სადაზღვევო კომპანიაში;</p>	<p>8.1.1. Bankanın uygun gördüğü sigorta firmasından sigortayı yapmak,</p>
<p>8.1.2. დაზღვევა განხორციელოს ბანკის მიერ მოთხოვნილი და სადაზღვევო კომპანიის მიერ დადგენილი პირობების დაცვით; ასევე, დაზღვევა აქტიური იქონიოს სასესხო ვალდებულების სრულ დაფარვამდე.</p>	<p>8.1.2. Banka tarafından istenilen ve Sigorta Firmasınca tespit edilen şartlara istinaden sigortayı yapmak ve üstlenilen yükümlülüklerin tamamen kapatılmasına kadar sigorta poliçesini geçerli tutmak,</p>
<p>8.1.3. დაზღვევის განხორციელების შემთხვევაში სადაზღვევო სერთიფიკატში ბენეფიციარი უნდა იყოს ბანკი;</p>	<p>8.1.3. Sigorta yapılması durumunda, lehtar olarak Bankayı kabul etmek ile yükümlüdür.</p>
<p>8.2. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლის მიერ სადაზღვევო პრემიის საზღაურის გადახდა არ განხორციელდება დადგენილ ვადებში ბანკი უფლებამოსილია, ხოლო მსესხებელი თანახმაა ბანკმა მსესხებლის ანგარიშებიდან მასზე საკმარისი ნაშთის არსებობის შემთხვევაში ჩამოჭრას სადაზღვევო პრემიის თანხები და მიმართოს სადაზღვევო პრემიის ასანაზღაურებლად და ერთპიროვნულად გააგრძელოს სადაზღვევო მომსახურების ვადა;</p>	<p>8.2. Müşteri tarafından, sigorta bedelinin, tespit edilen vadede ödenmemesi durumunda, Banka, Müşteriye ait olan Banka hesabından, yeterli bakiyenin bulunması halinde, sigorta ücretini kesme, bu şekilde sigorta borcunu kapatırma ve müşteriden izin almadan sigorta poliçesinin vadesini uzattırma yetkisine sahiptir. Müşteri Bankanın bu yetkisini kabul eder.</p>
<p>8.3. მსესხებელი/კლიენტი თანახმაა მიმდინარე სადაზღვევო პოლისის ვადის გასვლამდე ბანკმა, მისი დამატებითი თანხმობის გარეშე, მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაზღვევის განახლების მიზნით, რაც მოიცავს კლიენტის საბანკო ანგარიშიდან ნაშთის არსებობის შემთხვევაში თანხის (ყოველწლიური სადაზღვევო პრემია მიმდინარე სასესხო დავალიანების შესაბამისად) სადაზღვევო კომპანიისათვის გადარიცხვას.</p>	<p>8.3. Kredi müşterisi/müşteri sigorta poliçesinin süresinin tamamlanmasından önce Banka müşteriden ilave bir rızası almadan sigortanın yenilenmesine yönelik gerekli tedbirler alması yetkisine sahip olduğunu kabul etmektedir. Gerekli tedbirler müşterinin banka hesabından bakiyesinin olması durumunda tutarın (yıllık prim kalan kredi borcuna göre) sigorta şirketine havale edilmesini kapsamaktadır.</p>
<p>8.4. მსესხებლის მიმდინარე ანგარიშზე საკმარისი ნაშთის არ არსებობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია, ხოლო მსესხებელი თანახმაა სადაზღვევო პრემიის ოდენობით ბანკმა დაუშვას მსესხებლის მიმდინარე ანგარიშზე სამ თვიანი ოვერდრაფტი და მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე ეს თანხები მიმართოს სადაზღვევო პრემიის ასანაზღაურებლად;</p>	<p>8.4. Müşterinin hesabında yeterli tutar bulunmaması durumunda, Müşteri Banka tarafından ilgili tutarı 3 ay süre ile kredili olarak borçlandırılmasını (overdraft) ve müşterinin rızası olmadan bu tutarın sigorta priminin ödemesi için kullanılacağını kabul eder.</p>
<p>8.5. ბანკი უფლებამოსილია და არა ვალდებული, ხოლო მსესხებელი თანახმაა ოვერდრაფტის სახით დაშვებულ თანხებს დაარიცხოს ოვერდრაფტის დაშვების პერიოდისათვის ბანკში ასეთი ტიპის მომსახურებისათვის დადგენილი საპროცენტო სარგებელი.</p>	<p>8.5. Banka, overdraft olarak tahsis edilen tutara Bankada bu tür hizmet için tespit edilen faiz oranları tahakkuk ettirme yetkisine sahiptir, yükümlü değildir. Müşteri ise bu durumu kabul eder.</p>
<p>8.6. თუ გარკვეული ობიექტური, თუ სუბიექტური მიზეზების გამო ბანკი არ დაუშვებს ოვერდრაფტს მსესხებლის მიმდინარე ანგარიშზე და მსესხებლის მიერ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში ნებაყოფლობით არ განხორციელდება ვადადამდგარი სადაზღვევო პრემიის გადახდა, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს ბანკის მიმართ არსებული მთლიანი დავალიანების დაფარვა. დაზღვევის გაუქმების შემთხვევაში ბანკი ცალმხრივად იღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე გაუქმებასთან დაკავშირებით.</p>	<p>8.6. Herhangi bir nedenle Banka tarafından sigorta tutarı için kredilendirme yapılmaması ve sigorta tutarının 30 gün içinde ödenmemesi durumunda, Banka GKS'nin tek taraftan fesih edilmesi ve Bankaya karşı olan tüm borcunun kapatılmasını talep edebilir. Sigortanın iptal edilmesi durumunda Banka sözleşmenin süresinden önce feshedilmesi hakkında kararı tek taraftan alır.</p>
<p>9 მხარეთა შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტა</p>	<p>9.Taraflar Arasındaki Anlaşmazlıkların Çözülmesi</p>

<p>9.1 როგორც წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ასევე მის ფარგლებში გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ასევე მათთან დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავას მხარეები საბოლოოდ გადასაწყვეტად გადასცემენ საარბიტრაჟო დაწესებულებას შპს „დავების განმხილველი ცენტრის“, რომელიც დავას განიხილავს მისი საარბიტრაჟო წარმოების წესების შესაბამისად (ს/კ - 204547348; იურიდიული მისამართი ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას 71, მე-4 ბლოკი, 2 სართული, ოფისი 11. ვებ.გვერდი: WWW.DRC.GE).</p>	<p>9.1 GKS ve ilgili sözleşmelerden kaynaklanan herhangi bir dava, son karara bağlanması amacıyla LTD “Davaların Çözüm Merkezi” (V/K 204547348, hukuki adres-Tiflis, Vaja-Pşavela cad.71, 4.bl. II kat. ofis 11, web-sayfası- www.drc.ge) tarafından arbitraj kuralları doğrultusunda incelenir.</p>
<p>9.2 სამართალწარმოების ენად განსაზღვრულია ქართული.</p>	<p>9.2 Mahkeme süreci Gürcü dilinde gerçekleştirilecektir.</p>
<p>9.3 არბიტრაჟის ადგილად განსაზღვრულია თბილისი.</p>	<p>9.3 Arbitraj yeri Tiflis'tir.</p>
<p>9.4 მსესხებელი აცხადებს თანხომობას საარბიტრაჟო დავის დაწყებასთან, საარბიტრაჟო განხილვასთან და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებით გზავნილი, შეტყობინება, უწყება მიიღოს ძირითად ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე და ადასტურებს, რომ ამ მისამართზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე ის სრულად და დაბრკოლების გარეშე შეძლებს გზავნილის, შეტყობინების, უწყების მიღებას და ამ მისამართზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე გზავნილის, შეტყობინების, უწყების გაგზავნა განხილული უნდა იქნას, როგორც მათი მსესხებლისათვის სათანადო წესით ჩაბარებად მიუხედავად იმისა, მიღებული იქნება თუ არა ტექნიკური ან საკურიერო დასტური გზავნილის, შეტყობინების, უწყების მსესხებლისათვის ჩაბარების შესახებ.</p>	<p>9.4 Kredi müşterisi, arbitraj davasının başlanması, incelenmesi ve arbitraj kararının bildirim ve icrası ile ilgili ter türlü bildirim, bilgi, yazının Genel Kredi Sözleşmesinde açıklandığı adresten alabileceği, gönderilen bildirim, bilgi, yazının açıklanmış adresten veya elektronik postadan alabileceği ve açıkladığı adrese gönderilen bildirim, bilgi, yazının teknik olarak alınmış olarak sayılacağını beyan ve kabul eder.</p>
<p>10 ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი მოქმედება.</p>	<p>10 GKS'nin Yürürlüğe Girmesi ve Geçerliliği,</p>
<p>10.1. ძირითადი ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ძირითადი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.</p>	<p>10.1. GKS, imzalandığı günden itibaren yürürlüğe girecektir ve GKS gereğince üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmesine kadar geçerli sayılır.</p>
<p>10.2. ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული დაკავშირებული ხელშეკრულებები როგორც წესი არ უნდა გასცდეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას, მაგრამ, თუ ამ ვადაში არ მოხერხდა კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება, მაშინ ვადის გასვლა არ გაათავისუფლებს მას ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან.</p>	<p>10.2. Sözleşmeye istinaden imzalanmış olduğu sözleşmelerin süresi genel kredi sözleşmesinin süresinden uzun olamaz. Ancak, herhangi bir şekilde GKS süresi içinde kapatılmayan yükümlülükler bu sözleşme, ekleri ve diğer sözleşme hükümleri geçerliliklerini koruyacaktır.</p>
<p>11 სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო</p>	<p>11 KREDİ BİLGİ BÜROSU CREDITİNGO GÜRCİSTAN A.Ş.</p>

<p>11.1 მსესხებელთან დამატებითი შეთანხმების გარეშე მსესხებლის როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური (ნეგატიური ინფორმაცია გადაეცემა ვადაგადაცილებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ - ფიზიკური პირების შემთხვევაში, ხოლო 60 დღის შემდეგ - იურიდიული პირების შემთხვევაში) ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია გადაეცემა სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს (ს/ნ 204470740) რაც იწვევს მსესხებლის აღრიცხვას სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში, რომლის მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მონაცემთა შეგროვება, გადამუშავება და გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია გადასახდელი/გადახდილი და გადაუხდელი სესხებისა და სხვა მიმდინარე, შესრულებული და შეუსრულებელი/ ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან, ასევე ბაზაში არსებული ინფორმაციის ანალიტიკური გადამუშავება კრედიტუნარიანობის შეფასების მიზნებისთვის. სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო ბიუროს, უფლება აქვს მიღებული ინფორმაცია დაამუშავოს/გადაამუშავოს და გადასცეს მესამე პირებს, მონაცემთა სუბიექტის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შეფასებისა და შემოწმების მიზნით.</p>	<p>11.1 Müşteriye ilave bir bilgi vermeden, müşterinin hem positif hem negatif (negatif bilgileri gerçek kişiler için kredinin vadesinin geçtiğinden 30 gün geçtikten sonra, tüzel kişiler durumunda ise – 60 gün geçtikten sonra) yükümlülükleri hakkında bilgileri “KREDİ BİLGİ BÜROSU CREDİTİNGÜRCİSTAN” A.Ş.’ye (V/N 204470740) bildirilecektir. Bu durumda ödenecek/ödenmiş ve yerine getirilmemiş/geciktirilmiş mali yükümlülüklerin statüsüyle, ayrıca, veri tabanında mevcut olan bilgilerin müşterinin kredibilitesini değerlendirilmesi maksadıyla analitik işlenmesine bağlı olan müşteri ile ilgili bilgileri, gerçek ve tüzel kişiler hakkında bilgilerin toplanması, düzenlenmesi ve yayınlanması maksadıyla “KREDİ BİLGİ BÜROSU CREDİTİNGÜRCİSTAN” A.Ş. kredi bilgileri veri tabanında kayıt ettirilecektir. “KREDİ BİLGİ BÜROSU CREDİTİNGÜRCİSTAN” A.Ş. kredi bürosu olarak müşterinin kredibilitesi/ödeme gücünün değerlendirilmesi ve kontrol edilmesi maksadıyla alınan bilgilerin işleme ve üçüncü kişilere devretme hakkına sahiptir.</p>
<p>11.2 ასევე, ბანკი უფლებამოსილია გადასცეს მასთან არსებული ინფორმაცია სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს, მსესხებლის საკრედიტო ისტორიაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების შესახებ. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის ოდენობასა და უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოებისა და სააღსრულებო წარმოების შედეგს, აგრეთვე მსესხებლის აქციონერებისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს და მონაცემთა ბაზისთვის საჭირო სხვა მონაცემებს.</p>	<p>11.2 Ayrıca, Banka, elindeki müşterinin kredi geçmişinde herhangi bir değişiklik/ilaveler hakkındaki bilgilerin “KREDİ BİLGİ BÜROSU CREDİTİNGÜRCİSTAN” A.Ş.’ye bildirme yetkisine sahiptir. Bildirilecek bilgiler, herhangi bir kısıtlama olmadan Müşterinin kimlik bilgileri, mevcut olan kredi/yükümlülük miktarı, kredi amacı, tahakkuk ettirilen miktar, geçerlilik süresi, Müşterinin taksit ödemelerinin zamanı, borç bakiyesi, teminat ile ilgili bilgiler, mahkeme/arbitraj davasının bulunması halinde, mahkeme ve icra sürecinin sonuçları, ayrıca Müşterinin ortakları ve temsil yetkisi olan kişiler hakkındaki ve veri tabanı için gerekli olan bilgileri içermektedir.</p>

<p>11.3 სს „ზირაათ ბანკი საქართველო“ (404534170) (მის: საქართველო, ქ.თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო № 100) შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).</p> <p>მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.</p>	<p>11.3 Ziraat Bank Georgia A.Ş. (V/K 404534170) (Adres: Gürcistan, Tiflis, Mtatsminda semti, Zviad Gamsakhurdia kıyısı N100), Gürcistan mevzuatına istinaden öngörülen kural ve şartlara uygun olarak kişi hakkında kredi bilgi bürosuna bilgi verilmesi ve onlardan bilgi alınması ile ilgili tüm kredi/kredi olmayan ve diğer ilgili bilgileri toplayacak/işleyecektir. Söz konusu bilgiler müşterinin kredibilitésinin analizi amacıyla işlenir ve kanunla belirlenmiş kuralla kredi bilgi bürosu kullanıcılarına (kredi veren kuruluşlar ve bilgi alan/veren kişiler) sunulur.</p> <p>Kullanıcıların talebine istinaden (veri sahibi dahil olmak üzere) bilgileri işleyen, bilginin eksik, yanlış, güncellenmemiş olması veya kanuna aykırı toplanmış ve işlenmiş olduğunda bilgilerin düzeltilmesinden, güncellenmesinden, eklenmesinden, bloke edilmesinden, silinmesinden veya imha edilmesi ile yükümlüdür.</p>
<p>12 შეტყობინებების/გზავნილის მიწოდება</p>	<p>12 Bildirim/yazının gönderilmesi</p>
<p>12.1 მსესხებელი აცხადებს თანხმობას ბანკისაგან გზავნილი, შეტყობინება, უწყება მიიღოს ძირითად ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე და ადასტურებს, რომ მითითებულ მისამართზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე ის სრულად და დაბრკოლების გარეშე შეძლებს გზავნილის, შეტყობინების, უწყების მიღებას და ამ მისამართზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე გზავნილის, შეტყობინების, უწყების გაგზავნა განხილული უნდა იქნას, როგორც მათი მსესხებლისათვის სათანადო წესით ჩაბარებად მიუხედავად იმისა, მიღებული იქნება თუ არა ტექნიკური ან საკურიერო დასტური გზავნილის, შეტყობინების, უწყების მსესხებლისათვის ჩაბარების შესახებ.</p>	<p>12.1 Kredi müşterisi, arbitraj davasının başlanması, incelenmesi ve arbitraj kararının bildirim ve icrası ile ilgili ter türlü bildirim, bilgi, yazının Genel Kredi Sözleşmesinde açıklandığı adresten alabileceği, gönderilen bildirim, bilgi, yazının açıklanmış adresten veya elektronik postadan alabileceği ve açıkladığı adrese gönderilen bildirim, bilgi, yazının teknik olarak alınmış olarak sayılacağını beyan ve kabul eder.</p>
<p>12.2 მსესხებლის ადგილსამყოფელზე გაგზავნილი წერილები და შეტყობინებები ითვლება მის მიერ მიღებულად მიუხედავად იმისა, მისი რეალური ადგილსამყოფელი ემთხვევა თუ არა წერილის გაგზავნის დღეს ბანკისათვის ცნობილ მის მისამართს, თუ ახალი ადგილსამყოფელის და იქ გადასვლის თარიღის შესახებ მსესხებელი წერილობით წინასწარ არ აცნობებს ბანკს;</p>	<p>12.2 Müşterinin Bankaya bildirmiş olduğu adrese yapılan gönderimler, bildirimler, müşteri tarafından adres değişikliği yönünde herhangi başka bir bildirim yapılmadığı sürece tebliğ edilmiş sayılır.</p>

<p>12.3 მსესხებელი ადასტურებს, რომ ის შეუფერხებლად იყენებს ძირითად ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტას და ამ ფოსტის გაუმართაობის, შეფერხებულად მუშაობის, მასთან წვდომის დაკარგვის ან სხვა გარემოებათა გამო ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების/გზავნილის მიუღებლობის ან მიღებული ელექტრონული შეტყობინების/გზავნილის ნახვის შეუძლებლობის ყველა ნეგატიურ შედეგზე მხოლოდ თვითონაა პასუხისმგებელი. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დაკარგავს წვდომას ელექტრონულ ფოსტასთან, შეიცვლის ელექტრონული ფოსტის მისამართს ან დაკარგავს ელექტრონული ფოსტაზე წვდომის პაროლს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბანკს და ასევე იმავდროულად მიუთითოს ალტერნატიული ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ. ამ ვალდებულების დარღვევა საკმარისი საფუძველია ბანკმა ვადამდე მოითხოვოს კრედიტების სრულად დაფარვა და უარი განაცხადოს ახალი საკრედიტო პროდუქტების გაცემაზე.</p>	<p>12.3 Müşteri, işbu sözleşmede açıklanan elektronik posta ve cep telefonlarının kullandığını ve elektronik postanın ve/veya cep telefonunun arızası, ulaşılmaması veya değişik sebeplerden dolayı elektronik postaya ve/veya cep telefona yazının/ bildirinin alınmaması veya alınan yazının/bildirinin görmesinin mümkün olmadığından meydana gelen her türlü negatif sonuçların sorumluluğu kendisine ait olduğunu kabul ve beyan eder. Müşteri tarafından elektronik postaya veya cep telefona ulaşamaması, elektronik posta adresinin ve/veya cep telefon numarasının değiştirilmesi veya elektronik posta parolasının kaybedilmesi durumunda Müşteri, Bankaya bilgi vermekle ve alternatif elektronik posta adresi ve cep telefon numarasının bildirmekle yükümlüdür. Bu yükümlülüğün ihlal edilmesi durumunda Banka, süresinden önce kredi borcunun tamamen kapatılması isteme ve yeni kredinin kullanılmasının reddedilmesi yetkisine sahiptir.</p>
---	--

13 სხვა დებულებები	13 Diğer Hükümleri
<p>13.1. მსესხებლისთვის ცნობილია, რომ ბანკი ვალდებულია თავდებობის/სოლიდარული პასუხისმგებლობის ხელშეკრულების მონაწილე მხარისათვის, ასევე იპოთეკის და/ან გირავნობის საგნის მესაკუთრისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მსესხებელთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების თავსართი და მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულების ასლები იმავე ფორმით, რა ფორმითაც გაფორმებულია მსესხებელთან და აღნიშნული ვალდებულების თაობაზე მსესხებელი წინასწარ გაფრთხილებულია.</p>	<p>13.1. Banka, kefil/müteselsil kefil sözleşmesinde yer alan tarafa ayrıca, ipotek ve/veya rehin konusu olan mal sahibine kredi müşterisiyle yapılan kredi sözleşmesinin başlık kısmının ve istendiği takdirde sözleşmenin nüshalarının sözleşmenin imzalandığı şeklinde vermekle yükümlüdür. Bu yükümlülüğü hakkında kredi müşterisine bilgi önceden verilmiştir.</p>
<p>13.2. ხელშეკრულებების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას;</p>	<p>13.2. Sözleşmelerindeki herhangi bir maddesinin feshi, tüm sözleşmelerin veya diğer maddelerinin feshi anlamına gelmemektedir.</p>
<p>13.3. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულებებში შეიძლება შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები;</p>	<p>13.3. Taraflar arasındaki yazılı anlaşmaya dayanarak, sözleşmelerde değişiklik veya ekler yapılabilir.</p>
<p>13.4. ბანკი უფლებამოსილია, მსესხებლის თანხმობის გარეშე, ხელშეკრულებების და მის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გარიგებებით გათვალისწინებული თავისი უფლებები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა (მესამე) პირებს;</p>	<p>13.4. Banka, Müşterinin izni olmadan, sözleşmeler ve teminatlarla ilgili anlaşmalar gereğince belirlenen hakları tamamen veya kısmen üçüncü şahıslara devretme yetkisine sahiptir.</p>
<p>13.5. ვალდებულების შესრულებისას მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით და მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით;</p>	<p>13.5. Taraflar, üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmesi esnasında, Gürcistan'da geçerli olan yasa gereğince faaliyet gösterirler.</p>
<p>13.6. წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება მხარეთა შესაბამის მემკვიდრეებზე და მონაცვლეებზე, მაგრამ მსესხებელს ბანკისგან განსხვავებით უფლება არა აქვს გადასცეს ან გადააბაროს მთლიანად ან ნაწილობრივ მესამე პირს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე.</p>	<p>13.6. GKS gereğince belirlenen yükümlülükler, tarafların kanuni mirasçıları için de geçerlidir, ancak Müşteri, Bankadan farklı olarak, kendi yükümlülüklerini, Bankanın izni olmadan, üçüncü kişilere devretme yetkisine sahip değildir.</p>
<p>13.7. წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე მსესხებელი ბანკს ანიჭებს უფლებას მიიღოს მსესხებლის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან.</p>	<p>13.7. GKS gereğince, Müşteri, Bankaya, kendisi hakkında Sicil Müdürlüklerinden bilgi alma yetkisini devretmektedir.</p>

13.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და თურქულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი გადაეცემა მსესხებელს, ერთი რჩება ბანკში. ქართულ ენოვანი ტექსტი უპირატესი იურიდიული ძალის მქონეა.

13.8. İşbu GKS Gürcüce ve Türkçe olarak iki nüsha olarak düzenlenmiştir. Bunlardan bir nüshası Müşteride, birisi de Bankada kalacaktır. Gürcü dilindeki metin öncelikli sayılır. Gürcüce metni ile diğer dilindeki metin arasında uyumsuzluk olması durumunda, Gürcü dilindeki metin öncelikli sayılır.

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი / Banka

მსესხებელი/ Müşteri

0

()